„ჩონგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველა“

კოლხეთი

გამოდის 1923 წლის 1 მაისიდან

სენაკის მუნიციპალიტეტის თავისუფალი გაზეთი

2022 წელი ● №13-14 (9531-9532) ● 1-31 ივლისი ● ფასი 1 ლარი

მუნიციპალიტეტის მერიაში

სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში

ქალაქ ზუგდიდში, სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსმა - ლელა ჯანაშვილმა, რეგიონის მასშტაბის საინფორმაციო შეხვედრა გამართა.

გაცნობითი ხასიათის შეხვედრას, სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებული, გიორგი გუგუჩია, სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილეები, სენაკის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, გრიგოლ ბალათურია, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი, ნანა ზარანდია, რეგიონში შემავალი მუნიციპალიტეტების მერები და შესაბამისი სამსახურების უფროსები ესწრებოდნენ.

შეხვედრის ფარგლებში, რომელიც ინტერაქტიულ რეჟიმში წარიმართა, ლელა ჯანაშვილმა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის საქმიანობის ძირითად მიმართულებებსა და ფუნქციებზე ისაუბრა.

სამსახურის საჯარო სექტორზე ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსმა - ქეთევან კრაწაშვილმა და დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ - სოფიო შამუგიამ შეხვედრის მონაწილეებს მუნიციპალიტეტებში პერსონალური მონაცემების დაცვის მიმართულებით არსებულ გამოწვევებსა და პრაქტიკულ საკითხებზე მიაწოდეს ინფორმაცია.

მემორანდუმი გაფორმდა

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიამ ასოციაცია ,,მერკურთან" ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა.

მემორანდუმს ხელი სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა, ვახტანგ გადელიამ და ასოციაცია ,,მერკურის" თავმჯდომარემ, ნანა თოდუამ მოაწერეს.

მხარეების თანამშრომლობა მოიცავს ადამიანის უფლებების, გენდერული თანასწორობის, ქალთა უფლებების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და ქალთა მიმართ ძალადობის, ასევე, ოჯახში ძალადობის მსხვერპლ ქალთა მხარდამჭერი სერვისების შემუშავებასა და განხორციელებას.

შეხვედრას ესწრებოდნენ მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი, ნანა ზარანდია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი, ნატალია ხუბუა, ასოციაცია ,,მერკურის" იურისტი, რუსუდან პაჭკორია, პროექტების კოორდინატორი, ოლგა კიკავა.

დაარსებიდან 30 წელი გავიდა



საქართველოს თავდაცვის ძალების მე-2 ქვეითი ბრიგადის დაარსების საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, სენაკის სამხედრო ბაზის სამწყობრო მოედანზე, საზეიმო ცერემონიალი გაიმართა.

ქვედანაყოფის პირად შემადგენლობას ბრიგადის დაარსების დღე საქართველოს თავდაცვის მინისტრმა, ჯუანშერ ბურჭულაძემ მიულოცა.

საიუბილეო ღონისძიებაზე, სამხედრო მოსამსახურეებს უწყებრივი მედლები და საშტატო იარაღი გადაეცათ.

საზეიმო ცერემონიალის დაწყებამდე, საქართველოს თავდაცვის მინისტრმა, დასავლეთის სარდალმა და თავდაცვის ძალების ხელმძღვანელმა პირებმა, პატივი მიაგეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის და სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპულ გმირთა ხსოვნას და მემორიალი გვირგვინით შეამკეს. საზეიმო ღონისძიებას სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებული გიორგი გუგუჩია, სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია და შესაბამისი სექტორის წარმომადგენლები დაესწრნენ.

საზეიმო ღონისძიების ფარგლებში, სპორტული აქტივობებიც გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა აშშ-ის არმიის მე-4 უსაფრთხოების ძალების მხარდამჭერი ბრიგადისა (SFAB) და მეორე ქვეითი ბრიგადის სამხედროებმა მიიღეს.

ღონისძიება, საწვრთნელ ველზე თავდაცვაზე ორიენტირებული საჩვენებელი სწავლებით გაგრძელდა. სწავლებაში დასავლეთ სარდლობის მე-2 ქვეითი ბრიგადის 22-ე ბატალიონის ქვეითმა ოცეულმა, აშშ-ის მხარდამჭერ ჯგუფთან ერთად, მოწინააღმდეგეების მიმართ ჩასაფრება, დაზვერვის ასეულმა კი, საბრძოლო სროლები განახორციელა. საიუბილეო ღონისძიების დასასრულს, მე-2 ქვეითმა ბრიგადამ ქუთაისის საზაფხულო სკოლა „მკვლევარის" მოსწავლეებს უმასპინძლა

ფესტივალ-კონკურსში გამარჯვებულები

სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, ხელოვნების ცენტრის დირექტორს, ვეფხვია ვეფხვაძეს, ქართული სიმღერების VI კონკურს-ფესტივალის - ,,სხვა საქართველო სად არის" , გრანპ-რის მფლობელ და საპრიზო ადგილებზე გასულ, სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრის სამუსიკო სკოლის ავთანდილ გოგოტიშვილის სახელობის გაერთიანებული გუნდის, გოგონათა ვოკალური ანსამბლის, საესტრადო და ფოლკლორის განყოფილებების გამარჯვებულ მოსწავლეებს და მათ პედაგოგებს შეხვდა, მოპოვებული გამარჯვება მიულოცა და შემდგომი წარმატებები უსურვა. 5 ივლისს, ქალაქ მარნეულში, ქართული სიმღერების VI კონკურს-ფესტივალის - ,,სხვა საქართველო სად არის", სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრის სამუსიკო სკოლის ავთანდილ გოგოტიშვილის სახელობის გაერთიანებულმა გუნდმა გრან-პრი მოიპოვა. ასევე გადაეცა ,,ბიბლუსის" 100 ლარიანი სასაჩუქრე ბარათი, საგზური ბაკურიანში და სხვა სამახსოვრო საჩუქრები.

გოგონათა ვოკალურმა ანსამბლმა და ფოლკლორულმა ჯგუფმა ,,მორდუმ" მეორე ადგილები, ხოლო საესტრადო განყოფილების მოსწავლემ, ლენა სებისკვერაძემ, მესამე ადგილი დაიკავეს.

საესტრადო განყოფილების მოსწავლეს, ანა მახარაშვილს, სულხან ცინცაძის სახელობის დიპლომი გადაეცა.

სენაკში ანსამბლ ,,შალვას" საიუბილეო საღამო გაიმართა

26 ივლისს, სენაკს აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში, ისრაელის ქალაქ ბერშევას მერიასთან არსებული ქორეოგრაფიულ ანსამბლ ,,შალვას" 50 წლის საიუბილეო კონცერტი გაიმართა.

საღამოს სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, პირველი მოადგილე, გრიგოლ ბალათურია, საკრებულოს წევრი, ლევან უჩანეიშვილი, ქალაქის საპატიო სტუმრები - ბერშევადან, საქართველოს ქორეოგრაფთა აკადემიის პრეზიდენტი, ალექსანდრე ქართველიშვილი, აკადემიის, ქორეოგრაფიული სექტორის, ადგილობრივი თვითმმართველობისა და საზოგადოების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

სცენაზე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ქორეოგრაფიულ ანსამბლ ,,შალვას" - სამხატვრო ხელმძღვანელი დავით ეფრემაშვილი - მოცეკვავეები, ქართველი და ებრაელი შემსრულებლები. საღამო მიჰყავდა გიორგი წერეთელს.

საქართველოს ქორეოგრაფთა აკადემიის გადაწყვეტილებით, ისრაელში, ქალაქ ბერშავში მოღვაწე სენაკელ ებრაელს, სენაკის საპატიო მოქალაქეს, დამსახურებულ ქორეოგრაფს, ანსამბლ ,,შალვას" სამხატვრო ხელმძღვანელს, დავით ეფრემაშვილს საცეკვაო ხელოვნების სფეროში ხანგრძლივი მოღვაწეობის, ქორეოგრაფიული ხელოვნებისა და ქართულ-ებრაული 26 საუკუნოვანი უნიკალური ურთიერთობების განვითარებაში შეტანილი უმნიშვნელოვანი წვლილისთვის, ქართული ქორეოგრაფიის ბრწყინვალების ორდენი გადაეცა.

ვაჟებს - ანსამბლის ქორეოგრაფ-რეპეტიტორებს - გაბრიელ და შაი (შალვა) - ეფრემაშვილებს და ქორეორგაფიულ ანსამბლს ,,შალვა", ქორეოგრაფთა აკადემიის წევრის სტატუსი მიენიჭათ.

დავით ეფრემაშვილს ასევე გადაეცა შალვა(ჯამუ) გარუჩავას სახელობის სახალხო ქორეოგრაფიული ანსამბლის ,,კუჩხიბედინერი" ბრწყინვალების ორდენი.

ეკრანზე გაცოცხლებული წარსული... ორის ერის - ქართველთა და ებრაელთა სიყვარულით ნასაზრდოები ქორეოგრაფის, სენაკელი ებრაელის, შალვა ეფრემაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის წლები, დავითისა და ანსამბლის წამყვანი მოცეკვავეების - შაი და გაბი ეფრემაშვილების მიერ გაგრძელებელი ქართული ცეკვის ფენომენის პოპულარიზაცია, დავით ეფრემაშვილის მიერ ისრაელში დაარსებული ქართული ხელოვნების ფესტივალი „გეორგიადა", ნახევარი საუკუნის მანძილზე, ანსამბლის მიერ მოპოვებული აღიარებები, ქართულ ფოლკლორს ნაზიარები ებრაელი გოგო-ბიჭები, გულთბილი შეხვედრა მონატრებულ სენაკელ მაყურებელთან, მამის ახდენილი ოცნება - 50 წლის საიუბილეო თარიღის მშობლიერი ქალაქის დიდი თეატრის სცენაზე აღნიშვნა, დღის კულმინაცია - სენაკში მოღვაწე ქორეოგრაფებისა და დავით, გაბრიელ, შალვა ეფრემაშვილების მიერ შესრულებული ცეცხლოვანი ქართული ცეკვა... - ეს საღამო ქართველთა და ებრაელთა მეგობრობის ისტორიის გაგრძელებაა

(გაგრძელება მეორე გვ.-ზე)

მუნიციპალიტეტის მერიაში
(გაგრძელება)

წარმატებული სენაკელი ახალგაზრდები

ჟიული შარტავას სახელობის მე-2 საჯარო სკოლის მოსწავლემ, გიორგი ჟვანიამ და წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის მოსწავლემ, ნინი ღვინჯილიამ მომავალ ლიდერთა გაცვლითი პროგრამის (FLEX) გამარჯვებულის ტიტული და აშშ-ში ერთწლიანი სწავლების უფლება მოიპოვეს.

სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად, ჟიული შარტავას სახელობის მე-2 საჯარო სკოლის მოსწავლეს, გიორგი ჟვანიას და გენო ადამიას სახელობის N1 საჯარო სკოლის კურსდამთავრებულს, ცოტნე ეჯიბიას შეხვდა, მათ მიღწეული წარმატება მიულოცა და ფულადი ჯილდოები გადასცა.

გენო ადამიას სახელობის პირველი საჯარო სკოლის კურსდამთავრებულმა, ცოტნე ეჯიბიამ, საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის (GDI) ორგანიზებით, გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და შვედეთის მთავრობის მხარდაჭერით გამართულ ესსეების კონკურსში, 48 კონკურსანტს შორის, პირველი ადგილი დაიკავა.

შეხვედრა ძიუდოისტ გოგონებთან

სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, წარმატებულ სენაკელ ძიუდოისტ გოგონებს, მათ მწვრთნელ-მასწავლებელს, უჩა ჯღარკავას შეხვდა და მოპოვებული წარმატება მიულოცა.

მიმდინარე წელს გამართულ საერთაშორისო ტურნირებში, სენაკის სასპორტო გაერთიანების სასპორტო სკოლის მოსწავლეებმა, არაერთი გამარჯვება მოიპოვეს: წარმატებული სენაკელი ძიუდოისტები - ანანო კინწურაშვილი, მარი ფარულავა, ნინო ხუნჯუა და ნინო მამულია გახდნენ საქართველოს 2022 წლის ჩემპიონები ქართულ ჭიდაობაში, ხოლო მია გოგოლი - ბრინჯაოს პრიზიორი.

ანანო კინწურაშვილი, ტრაპიზონში გამართული ოლიმპიური ჩემპიონის, ჰუსეინ ოზკანის სახელობისა და თურქეთის ქალაქ ქოჯაელში გამართული საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებული და ბრინჯაოს პრიზიორიცაა.

სენაკის მუნიციპალიტეტის მერია წარმატებულ სენაკელ ძიუდოისტებს ფულად ჯილდოებს გადასცემს.

სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყო

სენაკში, მთის კალთის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს.

ინფრასტრუქტურული პროექტი ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით ხორციელდება. ქუჩაზე იგება ასფალტო-ბეტონის საფარი.

პროექტის სახელშეკრულებო ღირებულება 197 000 ლარს შეადგენს და შპს ,,დინ გრუპი" ახორციელებს.

პროექტის მიმდინარეობას სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებული, გიორგი გუგუჩია, მოადგილეებთან და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად გაეცნო.

ანსამბლ „ფორტეს“ კონცერტი სენაკში

სენაკელი მსმენელის წინაშე ყველა თაობისთვის საყვარელი ანსამბლი ,,ფორტე'' წარდგა.

აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში, ცნობილი ქართველი მომღერლების:

მანანა მაისურაძის, ირინა კახნიაშვილის, ნინო ახობაძისა და ზურა მანჯავიძის მონაწილეობით გამართულ დაუვიწყარ ქალაქურ საღამოს, ხონისა და სამტრედიის ეპარქიის მიტროპოლიტი საბა, სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, სასულიერო პირები, ადგილობრივი თვითმმართველობისა და საზოგადოების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

საღამო სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით გაიმართა.

სამუშაო ჯგუფის სხდომა

სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, საკრებულოს წევრ საბა ოდიშარიასთან ერთად, კლიმატის ცვლილებების, ადაპტაციისა და კლიმატის ცვლილებებით გამოწვეული კატასტროფული რისკების რეაგირების სამუშაო ჯგუფის სხდომას დაესწრო.

შეხვედრაზე, რომელსაც სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი, ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი, ნანა ზარანდია უძღვებოდა, განხილულ იქნა 22 ივნისის სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოების მიმდინარეობა და კატასტროფების რისკების პრევენციის მიზნით გასატარებელი ღონისძიებები.

მუნიციპალიტეტის მერმა, ვახტანგ გადელიამ ისაუბრა სტიქიისგან შექმნილ უმძიმეს ვითარებაში, ოპერატიულად მობილიზებული ყველა რესურსის, სენაკისა და სხვა მუნიციპალიტეტების მოხალისეთა ჯგუფების, დასუფთავების ცენტრების წარმომადგენელთა მიერ დაზარალებული მოსახლეობისადმი გაწეული დახმარებისა და თანადგომის შესახებ. ეს თანადგომა განსაკუთრებით დასაფასებელი და ძვირფასია. ასეთი ერთობა უმძიმესი პრობლემების დაძლევის დიდ შესაძლებლობას ქმნის – აღნიშნა მუნიციპალიტეტის მერმა.

სხდომამ კატასტროფების რისკების პრევენციის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა სამოქმედო გეგმა დაამტკიცა.

აღსანიშნავია, რომ სამუშაო ჯგუფი 2022 წლის 14 მარტს, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარემოსდაცვითი საკითხების და კლიმატის ცვლილებებით გამოწვეული რისკების პრევენციისთვის გასატარებელი ღონისძიებების შესამუშავებლად შეიქმნა.

დევნილი მოზარდებისთვის

სენაკის მუნიციპალიტეტი მერი, ვახტანგ გადელია, აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა მომსახურების სააგენტოს დირექტორთან, სალომე დოლიძესთან, პირველ მოადგილესთან, გრიგოლ ბაღათურიასთან, წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა–გიმნაზიის დირექტორთან, ნინო ჯანჯღავასთან და შესაბამისი სექტორის წარმომადგენლებთან ერთად, მართლმადიდებლურ სკოლა–გიმნაზიაში იმყოფებოდა, სადაც დევნილი მოზარდებისთვის, საზაფხულო სკოლა გაიხსნა.

პროექტი სენაკისა და ჩხოროწყუს ეპარქიის განათლების ცენტრის, წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა–გიმნაზიის ორგანიზებითა და აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა მომსახურების სააგენტოს, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის პარტნიორობით ხორციელდება.

საზაფხულო სკოლის მონაწილეები არიან დევნილი მოსწავლეები - ოკუპირებული ტერიტორიიდან - კერძოდ, ოტობაიადან და სიდადან; ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის აფხაზეთის მე-10 საჯარო, სენაკის მუნიციპალიტეტის აფხაზეთის მე-7 საჯარო სკოლებიდან და წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა–გიმნაზიიდან.

პროექტის მიზანია, დევნილი მოზარდებისთვის, თავისუფალი დროის ეფექტურად, შემეცნებითად, ხალისიანად, შემოქმედებითად გატარება, ლოგიკური აზროვნების, საკომუნიკაციო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისა და ინტელექტუალური უნარების განვითარების ხელშეწყობა.

პროცესი მოიცავს მათ ჩართულობას შემეცნებით და გასართობ აქტივობებში, მხიარულ თამაშებსა და სხვადასხვა სახის ვიქტორინებში.

საზაფხულო სკოლის მონაწილეები, 30 ივლისამდე, ზაფხულის ცხელ დღეებს, წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა–გიმნაზიის სასიამოვნო და მეგობრულ გარემოში გაატარებენ.

7X7 ფეხბურთის ჩემპიონატი სენაკში დასრულდა

სენაკის მუნიციპალიტეტში, 7X7 ფეხბურთის ჩემპიონატის მუნიციპალური ეტაპი დასრულდა.

ფინალურ მატჩში ერთმანეთს ნოსირისა და ლეძაძამეს ადმინისტრაციული ერთეულების გუნდები შეხვდნენ.

ანგარიშით 3:1 მუნიციპალური ეტაპის გამარჯვებული ნოსირის გუნდი გახდა.

გამარჯვებული გუნდი სექტემბრის თვეში, ქალაქ ზუგდიდში დაგეგმილ რეგიონულ ტურნირში იასპარეზებს.

მუნიციპალური ეტაპი 7X7-ზე, ფეხბურთის ასოციაციის ორგანიზებითა და სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის მხარდაჭერით ჩატარდა.

პროექტის მიზანია ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება.

მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის და ინფორმაციული უზრუნველყოფის განყოფილება

საზოგადოებასთან მუდმივი კავშირი –ჩვენი საქმიანობის პრიორიტეტი

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ გადელია თავისი საქმიანობის პრიორიტეტად თვლის საზოგადოებასთან მუდმივ კავშირს.

ხალხთან ღია საუბარი მის გულისხმიერებაზე და მოქალაქეთა პრობლემების გადაჭრის ერთობლივი გზების ძიებაზე მეტყველებს.

ადგილობრივი ხელისუფლების პირველი პირი სტიქიით მიყენებულ ზარალზე, ინფრასტრუქტურული, ეკონომიკური პროექტების ძირითად მიმართულებებზე, კულტურულ-საგანმანათლებლო აქტივობებში ახალგაზრდობის ჩართულობაზე, მუნიციპალიტეტის ახლო და შორეულ პერსპექტივებზე გვესაუბრება.

ბატონო ვახტანგ, დაასრულა თუ არა კომისიამ სტიქიით მიყენებული ზარალის აღწერა?

როგორც მოგეხსენებათ, 22 ივნისს, ინტენსიურმა ძლიერმა წვიმამ, მწვავე პრობლემები შექმნა სენაკის მუნიციპალიტეტის მასშტაბით. კოკისპირული წვიმის შედეგად დაიტბორა ქალაქის ქუჩები, საკარმიდამო ნაკვეთები და საცხოვრებელი სახლები, ადიდებულმა ტეხურმა მწყობრიდან გამოიყვანა ლეძაძამეკვაუთის შემაერთებელი ხიდი და ბეწვის ხიდი. ნოქალაქევის ადმინისტრაციული ერთეულის ლეგაგუეს უბანში მდინარემ ასევე წაიღო ხიდი. წვიმამ უშაფათის, ძველი სენაკის, თეკლათის, მენჯის, ჭალადიდის, ახალსოფლისა და ნოქალაქევის ადმინისტრაციული ერთეულებში ზიანი მიაყენა შიდა საავტომობილო გზებს, საკარმიდამო ნაკვეთებს, ნათესებს, საცხოვრებელ სახლებს. ანალოგიური მდგომარეობა შექმნა სხვა ადმინისტრაციულ ერთეულებშიც. სტიქიით მიყენებული ზარალის ოდენობის დამდგენი კომისია და მუშა ჯგუფები, ინტენსიურ რეჟიმში, გადიოდნენ სხვადასხვა ლოკაციებზე, ქალაქად და სოფლად - დაზარალებულ მოსახლეობასთან. ასევე აღწერილ იქნა დაზიანებული ინფრასტრუქტურული ობიექტები. კომისიამ დაასრულა მიყენებული ზარალის აღწერა.

თქვენ თავადაც მონაწილეობდით სამუშაოებში, რაც დასაფასებელია და საერთოდ როგორ შეაფასებთ მუნიციპალური და სამაშველო სამსახურების მუშაობას?

სტიქიის პირველივე წუთიდანვე, მუნიციპალური და სამაშველო სამსახურები, 24 საათიან რეჟიმში მუშაობდნენ. უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობდა სტიქიის სალიკვიდაციო, გაწმენდითი და აღდგენითი სამუშაოები. შევქმენით მოხალისეთა ჯგუფები, რომლებიც ადგილზე ეხმარებოდნენ მოსახლეობას სტიქიასთან ბრძოლაში, სპეციალური ტექნიკის საშუალებით გაირეცხა ქალაქის ქუჩები. მინდა გულითადი მადლობა გადავუხადო ყველა მოქალაქეს, თითოეულ სენაკელს, სენაკის მუნიციპალურ სამსახურებს, მერიის მოხალისეთა ჯგუფებს, ჩვენს მუნიციპალიტეტში, სტიქიისგან შექმნილ უმძიმეს ვითარებაში გაწეული დახმარებისა და თანადგომისთვის. განსაკუთრებული მადლიერება მინდა გამოვხატო სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულისა

და რწმუნებულის ადმინისტრაციის მიმართ, ამ უმძიმეს დღეებში, მოსახლეობის დასახმარებლად მობილიზებული ყველა რესურსისთვის, ყოველმხრივი დახმარებისა და თანადგომისთვის. გულითად მადლობას ვუხდი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების დასავლეთის სარდლობას; მუნიციპალიტეტების მერებს; ქუთაისის, ზუგდიდის, ხობის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის, ქობულეთის, სამტრედიის, მარტვილის, ფოთის, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტების ,,ქართული ოცნების" ახალგაზრდული ორგანიზაციების წევრებს, აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის, ფოთის, ზუგდიდისა და ხობის მუნიციპალიტეტების დასუფთავების ცენტრების წარმომადგენლებს, რომლებიც მთელი თავიანთი ძალისხმევით იყვნენ ჩართულები სტიქიასთან ბრძოლაში. ეს არის დიდი ერთობისა და თანადგომის მაგალითი, რაც ყველანაირ დაბრკოლებას გადალახავს ქვეყნის აღმშენებლობის გზაზე.

რამდენადაც ცნობილია, წარმატებულად მიმდინარეობს ცენტრალური პარკის რეაბილიტაციის პროცესი, რა ეტაპებს მოიცავს იგი. თქვენ თავად როგორ შეაფასებთ ,,განახლებული რეგიონების" ფარგლებში დაგეგმილ პროექტებს?

პრემიერ-მინისტრის ინიციატივით დაწყებული პროგრამის ,,განახლებული რეგიონების" ფარგლებში, სენაკის მუნიციპალიტეტში, ჭავჭავაძის ქუჩაზე არსებული სკვერის სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულებულია. ამ ეტაპზე მიმდინარეობს რუსთაველის ქუჩაზე არსებული ცენტრალური პარკის მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები, რომელიც მოიცავს ფასადების რეაბილიტაციას, რეკრეაციული და დასასვენებელი სივრცეების მოწყობას. „განახლებული რეგიონების" 4 წლიანი პროგრამა საქართველოს 63 მუნიციპალიტეტს მოიცავს. პროგრამა ითვალისწინებს რეგიონების ურბანულ განახლებას, რაც სახელმწიფოს, მუნიციპალიტეტის და კერძო საკუთრებაში არსებული მნიშვნელოვანი ობიექტის განვითარებას გულისხმობს. პროგრამის დასრულების შემდეგ, ქვეყნის რეგიონებში განახლდება ცენტრალური ქუჩები, რეაბილიტირდება და მოეწყობა ახალი სკვერები და სხვა მუნიციპალური ინფრასტრუქტურა. ჩვენს მუნიციპალიტეტს, ამ მასშტაბური პროექტის განხორციელებით, ორი განახლებული, მრავალფუნქციური რეკრეაციული სივრცე შეემატება, რომელიც როგორც ახალგაზრდების, ისე უფროსი თაობისათვის, განტვირთვის, გართობის და დასვენების შესანიშნავი ადგილი იქნება.

ბატონო ვახტანგ, ყველაზე მთავარი პრობლემა ქვეყნიდან გადინებაა დიდ ქალაქებში და საზღვარგარეთ, რა უნდა გაკეთდეს ახალგაზრდობის დასასაქმებლად?

ჩვენი ახალგაზრდებისთვის ადგილზე უნდა შეიქმნას დასაქმებისა და განვითარების შესაძლებლობები. აუცილებელია მათი ჩართულობა სოციალურ-ეკონომიკურ თუ კულტურულ-საგანმანათლებლო აქტივობებში; ახალგაზრდების ხედვების, იდეების გათვალისწინება და მათი მაქსიმალური ხელშეწყობა. ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელება და ამ სექტორის აქტიური მხარდაჭერა ჩემი სამოქმედო გეგმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია.

თქვენი სამომავლო გეგმებიდან, რომელს თვლით ყველაზე უპირველეს მოსაგვარებლად? მოსახლეობის საჭიროებებზე გათვლილი უმნიშვნელოვანესი ინფრასტრუქტურული, ეკონომიკური, სოციალური, კულტურულ-საგანმანათლებლო და ტურისტული პროექტების განხორციელება - თითოეული მიმართულება ერთმნიშვნელოვნად პრიორიტეტული და აქტუალურია. ამ პროექტებზე მუშაობას ერთდროულად და თანმიმდევრულად ვაგრძელებთ.

მოამზადა
მარიკა მიქაბერიძემ

წარმატებული პრემიერა

ყოველი პრემიერა დღესასწაულია თეატრისათვის, მაგრამ 6-7 ივლისს ჩატარებულმა სპექტაკლმა ,,ჰარპაგონი" ყოველგვარ მოლოდინს გადაეჭარბა. თეატრის შემოქმედებითი გუნდი, ახალი სამხატვრო ხელმძღვანელის , რეჟისორ ვახტანგ ნიკოლავას ხელმძღვანელობით დიდი მონდომებით ემზადებოდა ამ დღისათვის და ძალიან მოკლე დროში შეძლო ულამაზესი სპექტაკლის შექმნა.

,,ჰარპაგონი" მოლიერის პიესა ,,ძუნწის" მიხედვით დადგმული ორმოქმედებიანი კომედიაა, გამორჩეული სცენოგრაფიით, საინტერესო მუსიკალური და ქორეოგრაფიული გაფორმებით, ულამაზესი კოსტუმებითა და მსახიობების ბრწყინვალე შესრულებით. სამთვიანი დაუღალავი შრომის შედეგად მაყურებელმა იხილა მაღალაკადემიურ დონეზე გაკეთებული სპექტაკლი, რომელმაც აღაფრთოვანა არამარტო სენაკელი მაყურებელი, არამედ მოწვეული სტუმრებიც.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მთავარი როლის, ჰარპაგონის შემსრულებლის, ჩვენი თეატრის დირექტორის, მსახიობ ირაკლი ადამიას საშემსრულებლო ოსტატობა. მსახიობმა საინტერესოდ გადმოსცა ძუნწი ადამიანის შინაგანი სამყარო, მისი სწრაფვა მატერიალური კეთილდღეობის მოსაპოვებლად და ამ გზაზე პირადი სულიერი ღირებულებების დათმობა და უარყოფა.

სპექტაკლს განსაკუთრებული ხიბლი შესძინა ახალგაზრდა, ნიჭიერი მსახიობის სოფი ჩალაშვილის მაღალი პროფესიონალიზმით განსახიერებულმა მარიანას როლმა და ლამაზად ნამღერმა ფრანგულმა მელოდიამ.

აღსანიშნავია ფოთის თეატრიდან მოწვეული მსახიობების: ანა ანდღულაძისა და ირაკლი კვერღელიძის მსახიობური ოსტატობა. მოწონება ხვდა წილად ჩვენი თეატრის მსახიობების: თამუნა აბშილავას, თენგიზ თოფურიძის, ტარიელ ზურაბაშვილის, ლადო კოკაიას, ზურიკო ზურაბაშვილის, ეკა კოღუას, ელგუჯა ნოდარიძის და ჯამბულ ჭანტურიას მიერ დიდი მონდომებითა და მსახიობური ოსტატობით შესრულებულ როლებს.

სენაკის თეატრმა, დიდი ხნის პაუზის შემდეგ, შეძლო ღირსეულად წარმდგარიყო მაყურებლის წინაშე, რაც ჩვენი თეატრის ახალი სამხატვრო ხელმძღვანელის ბატონ ვახტანგ ნიკოლავას დამსახურებაა.

ვულოცავ, სენაკის თეატრის მთელ შემოქმედებით ჯგუფს და ტექნიკურ პერსონალს წარმატებულ პრემიერას. ვუსურვებ ბევრ საინტერესო სპექტაკლს, მაყურებლის სიმრავლეს, ოვაციებსა და სიყვარულს.

მარინა ლიფონავა,
სენაკის აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრის სალიტერატურო ნაწილის ხელმძღვანელი

სპექტაკლი ძალიან მოუხდა თეატრს

მიმდინარე ზაფხულს მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრება მნიშვნელოვანი ღონისძიებებით იყო დატვირთული.

გამორჩეულად დასამახსოვრებელი იყო სენაკელებისათვის 6 ივლისი. თითქმის 5 წლიანი შესვენების შემდეგ აკაკი ხორავას სახელობის პროფესიულმა დრამატულმა თეატრმა მაყურებლისთვის გამართა პრემიერა სპექტაკლისა „ჰარპაგონი"

2022 წელს თეატრალური სამყარო გამოჩენილი ფრანგი დრამატურგის და თეატრალური მოღვაწის ჟან ბატისტ (პოკლენი) მოლიერის 400 წლის იუბილეს აღნიშნავს. ,,ჰარპაგონი" მოლიერის პიესის „ძუნწის" მიხედვით დადგმული ორმოქმედებიანი კომედიაა. „ძუნწი" არის ნადვილი შედევრი. პიესის მთავარი თემა არის ადამიანის სიხარბე და ბურჟუაზიის სწრაფვა მატერიალური კეთილდღეობის მოსახვეჭად, ეკონომიკური აღზევებისათვის სულიერ ღირებულებებზე უარის თქმა.

,,ჰარპაგონის" დამდგმელი რეჟისორია ვახტანგ ნიკოლავა. მხატვარი აივენგო ჭელიძე, ქორეოგრაფი დავით მეტრეველი, სპექტაკლში მონაწილეობდნენ მსახიობები: ირაკლი ადამია, თენგიზ თოფურიძე, სოფი ჩალაშვილი, თამარ აბშილავა, ტარიელ ზურაბაშვილი, ეკა კოღუა, ზურაბ ზურაბაშვილი, ლადო კოკაია, ელგუჯა ნოდარიძე, ჯამბულ ჭანტურია, ირაკლი კვერღელაძე და ანი ანდღულაძე.

სპექტაკლმა მაყურებლის და ჩამოსული სტუმრების მოწონება დაიმსახურა. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ მოლიერის პიესის ლიტერატურული გმირები სათანადო ფორმით და გამომსახველობით იყვნენ განსხეულებულნი მსახიობებში.

პიესის მთავარი მოქმედი გმირის ჰარპაგონის როლის შემსრულებელს, ირაკლი ადამიას სენაკელი მაყურებელი იცნობს, როგორც ინიციატივიან, ნიჭიერ ორგანიზატორს. როლმა კიდევ უფრო ნათლად წარმოაჩინა მისი ნიჭიერება და გარდასახვის შესანიშნავი უნარი. მაყურებელს ნამდვილი ხელოვნება უჩვენეს სხვა როლების შემსრულებელმა მსახიობებმა.

სილამაზისა და სრულყოფილების გრძნობას ქმნიდა დეკორაციები, მხატვრობა, ულამაზესი კოსტიუმები, მუსიკალური გაფორმება, რომელიც მაყურებელს ერთდროულად აცნობდა პიესის პერსონაჟების განწყობას სიხარულს, მწუხარებას...

პრემიერას საქართველო კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი საქართველოს თეატრალური საზოგადოების ცნობილ წარმომადგენლებთან ერთად დაესწრო. პრემიერას ესწრებოდნენ: სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ გადელია, მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია, მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი გივი მისაბიშვილი, ადგილობრივი მედიისა და სხვადასხვა ფენების წარმომადგენლები.

პრემიერა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს და სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა.

პრემიერის დასრულების შემდეგ სტუმრებს და მონაწილეებს ვთხოვეთ დაეფიქსირებინათ თავიანთი აზრი.

თეა წულუკიანი-საქართველოს, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი.

მინდა სენაკელებს მივულოცო თეატრის ახალი სიცოცხლე, სპექტაკლ ,,ჰარპაგონით" დღეს ჩვენ ვიხილეთ შესანიშნავი წარმოდგენა, რომელიც დადგა თბილისიდან ჩამოსულმა, ახლად დანიშნულმა, ახალი თაობის რეჟისორმა ვახტანგ ნიკოლავამ, რომელმაც ძალიან მოკლე დროში შეძლო და გააერთიანა ადგილზე არსებული შემოქმედებითი რესურსი.

ასევე ჩვენ ვიხილეთ სენაკის თეატრის დირექტორი ბატონი ირაკლი ადამია გაერთიანებულ შემოქმედებით ჯგუფთან ერთად.

(დასასრული მე-4 გვ)

სპექტაკლი ძალიან მოუხდა თეატრს

(დასასრული)

აღსანიშნავია ის, რომ გაერთიანდნენ ფოთის თეატრის მსახიობები, თბილისიდან ჩამოსული ძალები და ადგილობრივები, რამაც ამ თეატრს ახალი სიცოცხლე შთაბერა. ეს არ შეიძლება არ გიხაროდეს, იმიტომ რომ სენაკის თეატრი არის სიმბოლო ქართული კულტურის დიდებული კერისა, რომელიც ატარებს დიდი მსახიობის აკაკი ხორავას სახელს. უნდა ითქვას ისიც, რომ მას გამოვლილი აქვს მძიმე პერიოდი სამოქალაქო ომის და რუსული აგრესიის დროს. ურთულეს მდგომარეობაში მყოფი ინფრასტრუქტურა აღადგინა ფონდმა „ქართუმ“. მადლობა მას შესრულებული უზარმაზარი სამუშაოსათვის.

ირაკლი ადამია, თეატრის დირექტორი

- დღეს ჩვენ ვიხილეთ შესანიშნავი პრემიერა, რომელიც დადგა თეატრის რეჟისორმა ვახტანგ ნიკოლავამ. მნიშვნელოვანი დღეა სენაკელებისთვის, ვინაიდან დღეს თეატრში, რომელიც დიდი თეატრალის აკაკი ხორავას სახელს ატარებს, გაიხსნა 141-ე სეზონი. ეს დღე მნიშვნელოვანია იმითაც, რომ სენაკის თეატრის ისტორიაში პირველად პრემიერას ესწრება თავად კულტურის მინისტრი. ვახტანგ ნიკოლავამ შემომთავაზა მეთამაშე მთავარი გმირის როლი. ძალიან დიდი შთაბეჭდილებების ქვეშ ვარ, რადგან სპექტაკლი მაყურებელმა დიდი ოვაციებით დააჯილდოვა.

აქვე მინდა ვთქვა, რომ სენაკელი მაყურებელი გამოირჩევა თეატრის სიყვარულით და ერთგულებით. ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ მოყვარულთა დასმა სენაკში 1981 წელს სწორედ მოლიერის პიესა „ძალად ექიმი“ დადგა. მინდა დღევანდელი დღე მივულოცო ყველას: სტუმრებს, მაყურებელს, თეატრალური კოლექტივის თითოეულ წევრს, ჩემს კოლეგებს, რომლებთანაც საკმაოდ დიდი ხნის პროფესიული ურთუერთობა მაკავშირებს.

ვახტანგ ნიკოლავა, თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, რეჟისორი – როგორც ხედავთ თეატრი, განახლებულ, რეაბილიტირებულ შენობაში ხვდება ერთგულ მაყურებელს. მინდა გითხრათ, რომ სპექტაკლზე მუშაობა არ იყო ადვილი. წარმოდგენა რომ კარგი გამოვიდეს, შესასრულებელია უამრავი სამუშაო. გამოჩნდა ცალკეული ტექნიკური დეტალი, რომლის გადაჭრა ცხადია სირთულეებთან იყო დაკავშირებული, გვაკლია ზოგიერთი კადრი, რომლის პროფესიული ჩარევით უნდა გადაწყდეს სცენის, განათების და სხვა პრობლემები. ყოველი სპექტაკლი თავის მოთხოვნებს ბადებს, ვფიქრობ შეთანხმებული მოქმედებით მაინც შევძელით სირთულეები გადაგველახა. სპექტაკლის მომზადებაზე დაახლოებით 40 ადამიანი მუშაობდა. მსახიობებს ძალიან დაძაბულ და თითქმის შეუსვენებლივ უწევდათ საქმიანობა.

მინდა ვთქვა, რომ მოლიერის პიესიდან ერთი სიტყვაც კი არ არის ამოღებული.

მაყურებელს დიალოგები აძლევს დაფიქრების, პიესის მთავარი სათქმელის გააზრების საშუალებას. სპექტაკლი მოსაწონი იყო და მაყურებელმა კარგად მიიღო იგი.

კიდევ ერთხელ მინდა ვთქვა, რომ სენაკს ძალიან გემოვნებიანი და თეატრალური კულტურის მქონე მაყურებელი ჰყავს.

ცალკე უნდა გამოვყოთ ძვირადღირებული, ახალი კოსტიუმების თემა, რომლის ყოველი დეტალის შეთანხმება ხდებოდა მხატვართან, დიზაინერთან. ეს კოსტიუმები დიდ შენაძენია თეატრისათვის, რომლებიც წლების შემდეგ დარჩება თეატრის გარდერობში. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა კულტურის სამინისტროს, დაფინანსების 80 პროცენტი მასზე მოდის, ასევე დაგვაფინანსა სენაკის მერიამ და გამოვიყენეთ თეატრის რესურსიც. მადლობა ქალბატონ თეა წულუკიანს, სენაკის მერს ვახტანგ გადელიას, კულტურის სამინისტროს და მერიის კულტურის სამსახურის თითოეულ მუშაკს, მსახიობებს თანადგომისა და თავდადებული შრომისათვის.

დასასრულს მე ასე ვიტყოდი - სპექტაკლი ძალიან მოუხდა თეატრს.

ვასო ჩიგოგიძე, ოზურგეთის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი – ოზურგეთის სახელმწიფო დრამატულ თეატრს და სენაკის თეატრს დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებთ. ხშირად ვარ თქვენს ქალაქში. ვიყავი გახსნის მონაწილე. პრემიერამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, თეატრალურმა დასმა შთამბეჭდავი შესრულებით დაგვამახსოვრა თავი.

თათია კანკია, მაყურებელი- შემიძლია ვთქვა, რომ მოსწავლეობის წლებიდან ვარ თეატრის გულშემატკივარი. ვცდილობ ჩემს შვილს და ირგვლივ მყოფ ადამიანებსაც ჩავუნერგო თეატრის სიყვარული. ხელოვნებასთან ოჯახური ტრადიცია მაკავშირებს, ძალიან კმაყოფილი დავრჩი სპექტაკლით. პიესის შინაარსით, რომელმაც თვალნათლივ გვიჩვენა ზნეობრივი არჩევანის წინაშე დამდგარი ადამიანები. მინდა ყველა სენაკელმა გამონახოს დრო და ნახოს ,,ჰარპაგონი".

გაზეთ ,,კოლხეთის" რედაქცია ულოცავს თეატრის ხელმძღვანელობას, შემოქმედებით ჯგუფს წარმატებულ პრემიერას. გვჯერა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, სენაკის აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრი იშვიათი არქიტექტურითა და უნიკალური მხატვრობით, შესანიშნავი სპექტაკლებით სახელოვნად გააგრძელებს თეატრის 141 წლიან ისტორიას.

წარმატებები სენაკელ თეატრალებს.

მედეა გაღათურია

ანაკლია-ფესტივალი ,,კოლხი და"

ქ. ზუგდიდში, 16 ივლისს პოლიკარპე ხუბულავას სახელობის ფოლკლორის მეორე საერთაშორისო ფესტივალი ,,კოლხი და"... ანზორ ერქომაიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი კონცერტი გაიხსნა.

მეგრული სიმღერის შემსრულებლისა და გადამრჩენის, დიდი ლოტბარის პოლიკარპე ხუბულავას სახელობის ფოლკლორის მეორე საერთაშორისო ფესტივალი ,,კოლხი და ..." 2019 წლის ,,ხელოვნების და კულტურის განვითარების ცენტრის" ინიციატივითა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით დაარსდა.

კონცერტის გახსნას ესწრებოდნენ საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერი მამუკა წოწერია, სახელმწიფო რწმუნებული სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში გიორგი გუგუჩია, ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დირექტორის მოადგილეები –გიორგი გაბუნია და ელიზბარ ხაჩიძე, საპატიო სტუმარი ანზორ ერქომაიშვილის მეუღლე ქალბატონი ლალი სეთურიძე და რეგიონის სხვა წარმომადგენლები.

ფესტივალის ფარგლებში ორი დღის განმავლობაში დედაქალაქისა და რეგიონების, ქართული ფოლკლორული ანსამბლები მაყურებლის წინაშე მრავალფეროვანი რეპერტუარით წარსდგნენ. მათ შორის სენაკიდან ფესტივალზე სამი ფოლკლორული ჯგუფი წარსდგა- ,,კოლხური ტრიო", მამაკაცთა ანსამბლი ,,ეგრისი" და ,,სენაკი". სამივე ჯგუფის გამოსვლამ დიდი მოწონება დაიმსახურა, განსაკუთრებით ოვაცია და აღფრთოვანება ხვდა ანსამბლ ,,ეგრისის" მიერ შესრულებულ აფხაზურ სიმღერას ,,ვარადო"(სოლისტი თამაზ ეჯიბია). ,,ვარადო" ძველი აფხაზური სიმღერაა, რომელსაც სხვადასხვა სახელწოდებითაც შევხვდებით, მათ შორის ,,დაჭრილის სიმღერა" და ,,კლდის სიმღერა". ,,ვარადო" სამგლოვიარო სიმღერაა, რომელსაც საფუძვლად აფხაზური ლეგენდა უდევს და ორი ძმის ტრაგიკული ხვედრზე მოგვითხრობს.

ლეგენდის მიხედვით ძმები შარპი აცვა და სურვი აცვა სანადიროდ მიდიან. შარპი აცვას გზად ირემი შემოეყრება. გაყვება ცხოველის კვალს და დაინახავს მას მაღალ კლდის ქიმზე მდგარს. ავა კლდეზე, შემოაღამდება. დაბლა ჩამოსვლას ვეღარ მოახერხებს, შარპი აცვა ძმისთვის ხმის მისაწვდენად სიმღერას დაიწყებს. სიბნელის გამო დახმარება გაუჭირდება. ძმას რომ არ ჩასძინებოდა და ხრამში არ გადაჩეხილიყო, შარპი აცვა სახუმარო სიმღერების შესრულებას იწყებს.

ეს ვერ გაიგო იმ ძმამ, რომელიც აქეთ გასაჭირში იყო და ბრაზობდა რა სიმღერებს მიმღერისო. დილა რომ გათენდა, ჩამოიყვანა. როცა მდინარის მეორე ნაპირას გადადიოდნენ სური აცვამ შარპი აცვას უკნიდან იარაღი ესროლა და მოკლა. ამის შემდეგ სახლში რომ წავიდა და დედამისს მოუყვა ყველაფერი. დედამ აუხსნა, ისეთ სიმღერებს იმიტომ გიმღეროდა, რომ არ დაგძინებოდა და გემხიარულაო. ძალიან იდარდა, მერე სური აცვა მდინარეში იმ ადგილას ჩავარდა, სადაც თავისი ძმა მოკლა . ისიც გარდაიცვალა.

სიმღერის შინაარსი ტრაგიკულია და ამიტომაც არის მუსიკის ხაზი ნაღვლიანი და მწუხარების გამომხატველი. ,,ვარადოს" გავრცელება ფართო საზოგადოებისათვის, მისი ჩაწერა, დამუშავება, ქართველი ლოტბარის, ძუკუ ლოლუას სახელს უკავშირდება. სოფელ ქვალონის მცხოვრები, 1904-1917 წლებში აფხაზეთში მოღვაწეობდა. ეს ხალხური სიმღერა გუდაუთაში გლეხებისგან მოუსმენია, მანამდე არ იმღერებოდა, სოფელში თუ მღეროდა ვინმე. ძუკუ ლოლუამ აღადგინა, გააკეთილშობილა, 89-კაციან ქართულ-აფხაზურ გუნდს ასწავლა და მოიტანა. დღეს ,,ვარადოს" ქართულ ფოლკლორული ანსამბლების რეპერტუარშიც შეხვდებით,

ანაკლიაში ჩატარებული ფოლკორის მეორე საერთაშორისო ფესტივალი დასრულდა გალა კონცერტით, რომელიც ანაკლიაში, ძველი ციხის ტერიტორიაზე გაიმართა. ასე, რომ ქართული ფოლკლორი ქართველი ერის შემოქმედებითი გენის ნაყოფია და არა მხოლოდ ქართული, ის მსოფლიო ფოლკლორის კუთვნილებაცაა.

გიჭიკო თუნთია

სრულიად უანგაროდ

გვინდა განსაკუთრებული მადლიერება და პატივისცემა გამოვხატოთ ჩვენი კუთხის ღირსეული შვილის, თავისი ქვეყნის მოამაგისა და ქველმოქმედის, საქართველოს მეოთხე და მეხუთე მოწვევის პარლამენტის წევრის, სააქციო საზოგადოება ,,არქეოპოლოსის" დამფუძნებლის, ღირსების ორდენის ორგზის მფლობელის, სენაკის საპატიო მოქალაქის, ბატონ დემურ გადელიას მიმართ.

ბატონმა დემურმა, სრულიად უანგაროდ და უსასყიდლოდ, მეორე ნოსირის ადმინისტრაციულ ერთეულში, წმინდა კვირიკეს სახელობის ტაძართან, დააგო ბეტონის საფარი, კეთილმოაწყო სკვერი და მისი მიმდებარე ტერიტორია.

ეს არის ერთ-ერთი იმ ქველმოქმედებათაგანი, რომელსაც ეს კეთილშობილი ადამიანი უძღვნის თავის ქვეყანას და თავის ხალხს. იგი ხომ მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე აღმშენებლობას, სიკეთეს, თანამოქალაქეთა თანადგომას ემსახურება.

ჯანის სიმრთელეს, მხნეობას, დღეგრძელობას, შემდგომ დიდ წარმატებებს და უფლის შეწევნას ვუსურვებთ ბატონ დემურს თავის განუზომელ ღვაწლსა და პირად ცხოვრებაში.

მეორე ნოსირის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობა

მთელი სოფლის სახელით

ქარიშხალმა მთლიანად სახურავი ახადა სოფელ მეორე ნოსირში მცხოვრებ ნუკრი კეკუტიას სახლს. მრავალშვილიან და სოციალურად დაუცველმა ოჯახმა სენაკის მუნიციპალიტეტის მერიაში შეიტანა განცხადება. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ დაუყონებლივ მიიღო გადაწყვეტილება მთლიანად გადაეხურა საცხოვრებელი ბინა. მადლობა რაიონის ხელმძღვანელობას. მადლობა ადგილობრივ სოფლის რწმუნებულს სლავა კილასონიას, შ.პ.ს. ,,აფოს" დირექტორს ბატონ ამირან აფაქიძეს და მის თანამშრომლებს: მამუკა წულაიას, გოჩა კაცაძეს, ავთო ჯღარკავას თანადგომისათვის.

მეორე ნოსირში მდებარე ბინების მაცხოვრებლები

ახალი წიგნები

საქართველოს დამსახურებულმა პედაგოგმა, სენაკის საპატიო მოქალაქემ, მრავალი ჯილდოს და სიგელის მფლობელმა ქალბატონმა თათუშა ბასილაიამ გამოსცა წიგნი ,,სხვადასხვა დრო და ამბავი".

მოგონებათა წიგნში გადმოცემულია ქალბატონ თათუშას მიერ განვლილი ცხოვრების გზა, ოჯახის შექმნა, შვილების შეძენა, პედაგოგიური მოღვაწეობა, ურთიერთობა ნათესავებთან. არის ლექსები, ჩანახატები, მოთხრობები. ყოველი ნაწარმოებში ჩანს მშობლიური მიწის სიყვარული, ოჯახისადმი ერთგულება, წინაპრების და კოლეგების პატივისცემა.

95 წლის თათუშა მოგონებებით ცოცხლობს. შვილების, შთამომავლების, კარგად ყოფნას, ქვეყნის გაძლიერებას, ერის გამოღვიძებას შესთხოვს უფალს ,,ღმერთო მაღალო, შენ დაგვიცავი, გამოაღვიძე ერი, შეაგნებინე მოყვასის ცნობა და ჩაგვიქოლე მტერი"- წერს ავტორი.

ვულოცავთ ამაგდარ ქალბატონს წიგნის გამოცემას. წიგნი დაიბეჭდა თსუ გამომცემლობის სტამბაში. გამოირჩევა მაღალი პილიგრაფიული ხარისხით, ფერადი ბეჭდვით.

სასარგებლო და სამკურნალო თვისებების მქონე

კენკროვანი კულტურები კერძოდ კი, მოცვი საკმაოდ პოპულარულია ბოლო პერიოდში. ის აქტიურად გადის ექსპორტზე, სადაც მისი წილი წლიდან წლამდე იზრდება, რაც ქართველ ფერმერებს აძლევს შესაძლებლობას, აწარმოონ და სარეალიზაციოდ გაიტანონ მოცვი ქვეყნის ფარგლებს გარეთ და ამით კიდევ უფრო მეტად განავითარონ ბიზნესი. ლურჯ მოცვზე განსაკუთრებით მაღალი მოთხოვნაა როგორც ადგილობრივ, ასევე საექსპორტო ბაზრებზე. ამ მოთხოვნამ განაპირობა, რომ ჩვენს მუნიციპალიტეტში, ისევ როგორც სხვა რეგიონებში დაიწყო ლურჯი მოცვის გაშენება. ჩვენს მუნიციპალიტეტში 80-მდე მცირე მეწარმეა, რომელთაც გაშენებული აქვთ მოცვის და სხვა კენკროვანი კულტურების პლანტაციები. დღეს ჩვენი სტუმარია კახაბერ შონია, რომელსაც ფოცხოში, 0.5 ჰა-ზე აქვს გაშენებული მოცვის პლანტაცია.

კახაბერ შონიას დამთავრებული აქვს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის ეკონომიკის ფაკულტეტი. 2007-2022 წლებში იყო ქვემო ფოცხოს საჯარო სკოლის დირექტორი. ამჟამად არის უფროსი მასწავლებელი და ასწავლის სამოქალაქო განათლებას. ჰყავს მეუღლე, 3 შვილი და 2 შვილიშვილი. პედაგოგიურ საქმიანობასთან ერთად წარმატებით ეწევა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობასაც. ამაზე თვითონ მოგვიყვება.

რამდენიმე წელია რაც დავინტერესდი მოცვის კულტურით. მოვიძიე ინფორმაციები მოცვის შესახებ, რამდენად სასარგებლოა, როგორ ნიადაგზე ხარობს, რამდენად რთული მოსავლელია.... ლურჯი ფოთოლმცვივანი ნახევრად ბუჩქოვანი და ბუჩქნარი კენკროვანი კულტურაა, რომელიც იძლევა ლურჯი ფერის ნაყოფს. მაღალი კვებითი და სამკურნალო თვისებების გამო იგი ფართოდ გავრცელდა მსოფლიოში და მომხმარებელთა დიდ ყურადღებას იმსახურებს. კენკრის ორიგინალური, მომჟავო-მოტკბო გემო კიდევ უფრო ზრდის მის პოპულარობას. ნაყოფს აქვს მოლურჯო-მოშავო ეპიდერმისი(კანი), რომელიც ცვილისებრი ნაყოფით არის დაფარული და ღია ლურჯ შეფერილობას აძლევს. მოცვი ხარობს მჟავე ნიადაგზე და საუკეთესოდ იზრდება. როდესაც ნიადაგის მჟავიანობა PH 4,5-5,5 ფარგლებში მერყეობს.

გარდა ამისა მოცვის ნაყოფს და ფოთლებს სამკურნალოდ იყენებენ. მოცვის ნაყოფი შეიცავს შაქარს (ფრუქტოზა, ლაქტოზა), აქტიურ ნივთიერებებს (კატეხინები და ანტოციანები), კაროტინს, პექტინს, ვაშლია, რძის მჟავებს... მთელ რიგ სასარგებლო ნივთიერებებს. ნაყოფი ეფექტურია კუჭ-ნაწლავის დაავადებების დროს. იმის გამო, რომ მოცვში ანტიოქსიდანტების დიდი რაოდენობა შედის, მისი გამოყენება ხელს უწყობს კარგი მესხიერებისა და მახვილი მხედველობის შენარჩუნებას ღრმა სიბერემდე. ის ამკვრივებს გულსისხლ-ძარღვთა სისტემას, ებრძვის მიოკარდიუმის ინფარქტს, თრომბოზებს, ნაადრევ სიბერეს, ინფექციურ დაავადებებს და ჭარბ წონას. მოცვის რეგულარული გამოყენება აქვეითებს გულსისხძარღვთა სისტემის დაავადებების წარმოქმნის რისკს. ანტიკოაგულანტების წყალობით ის ხელს უშლის სისხლის შედედებას. მოცვის წვენი გამოსავლებად გამოიყენება ბავშვებში საყლაპავისა და პირის ღრუს ანთებითი დაავადებების შემთხვევაში. ფოთლების ნახარში და ნაყენი იხმარება შაქრიანი დიაბეტის დროს.

იმისათვის რომ გამერკვია, აკმაყოფილებდა თუ არა ფოცხოს თემში არსებული ნიადაგი და კლიმატი მოცვის მოყვანისთვის საჭირო პირობებს, ანასეულის ლაბორატორიაში ნიადაგის ლაბორატორიული ანალიზი გავაკეთე. პროგრამა ,,დანერგე მომავლის" დახმარებით 0,5-ზე დავრგე დაახლოებით 1500 ძირი ლეგასის, ბრუკლოპისა და ბლუგოლდის ჯიშის მოცვი. აღნიშნული პროგრამა ,,დანერგე მომავალი" ინიცირებულია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ და ახორციელებს სოფლის განვითარების სააგენტო სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით.

მოცვის მოყვანის თვითღირებულება გაიზარდა, თუმცა პროდუქტის ფასმა დაიკლო, რაც ფერმერთათვის სერიოზული გამოწვევაა, მოცვის ფასის შემცირება არსებული სიტუაციით, კერძოდ კი, პროდუქციის ჭარბი მოწოდებით აიხსნება.

ფასების შემცირება უკავშირდება აგრეთვე ექსპორტის შემცირებას. თუ ადრე ექსპორტის დიდი ნაწილი რუსეთის ბაზარზე მოდიოდა, ომის შემდეგ თითქმის შეწყდა მიწოდება, მომხმარებლები ფინანსური კრიზისის გამო აუცილებელი საჭიროების პროდუქციაზე აკეთებენ არჩევანს და კენკრას ნაკლებად ყიდულობენ.

ფასთან დაკავშირებით ძირითადად პრობლემებს საქართველოში მცირე ფერმერები ანყდებიან. პრობლემაა აგრეთვე, ის რომ მოცვი მალფუჭებადი პროდუქტია და მოკრეფისთანავე უნდა მოხდეს რეალიზება. ან უნდა ინახებოდეს სპეციალურ მაცივრებში. მცირე მეწარმეთათვის აუცილებელია წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის ხელშეწყობა, რაც მთავრობის პრიორიტეტს წარმოადგენს. სამაცივრე მეურნეობის მოწყობა მოგვცემს საშუალებას მოკრეფილი მოცვი შევინახოთ, სავაჭრო ქსელში არ გავიტანოთ პროდუქცია და ადგილზე დაველოდოთ შემსყიდველს.

სახელმწიფოს თანადგომა აუცილებლად გამოიღებს შედეგს. ბატონ კახაბერს კი ვუსურვებთ წარმატებებს საქმიანობაში. ის განეკუთვნება ისეთ ადამიანთა რიცხვს, რომლებიც ძირითად პროფესიულ საქმიანობას კარგად უთავსებენ მეწარმეობას. მათი წარმატების საწინდარი შრომისმოყვარეობა, დროის სწორად განაწილება და სიტუაციის რეალურად შეფასებაა.

მ. გერგაია

წერილი რედაქციას ლონდონიდან

ეს იყო საოცარი ნომერი გაზეთისა(-,,კოლხეთი" №11-12. 2022 წ.), რომელსაც ჟანგბადივით ველოდები თქვენგან.

საოცარი იყო მრავალი პარამეტრებით, მაგრამ ჩემთვის პირადად იყო საოცარი მოზარდთა აზრი, მათი აზრი პიროვნებაზე, პირად ღირსებაზე, მომავალზე.... იმდენად განვიცადე ყოველი სიტყვა, აზრი, ფიქრი, მათი ცხოვრებისეული ფილოსოფია, სამომავლო ხედვა, რეალურ სამყაროში მათი ადგილი, რომ სუნთქვა შეკრულმა ჩავიკითხე, მერე კი დიდი დრო დამჭირდა, რათა დამშვიდებით მეფიქრა და ნააზრევი გადმომეცა.

იცით, ჩემო ძვირფასებო 32 წელია ბრიტანეთში ვცხოვრობ და პირდაპირი გაგებით ნაბიჯ-ნაბიჯ, წვეთ-წვეთობით, რუდუნებით ვცდილობ ახალგაზრდებში ჩავთესო სიყვარულის მოთხოვნა.

სიყვარულისა, რომელსაც მონატრება ჰქვია. მონატრება, რომელსაც სამშობლოსთან მივყავართ.

სამშობლო, რომელსაც თვითეული მათგანი წარმოადგენს.

წარმოადგენს და ვალდებულია მისი ღირსეული შვილი იყოს.

შვილი იყოს, ნიშნავს უყვარდეს ის ვინც ეგ გრძნობა ჩაუნერგა... და ასე ვიარეთ 32 წლიდან 30 წელზე მეტი ამ უცხო ქვეყანაში.

ვიარეთ, ვიარეთ და ერთი კითხვა კი კითხვად მრჩება, შეძლებენ კი ჩემი დაზრდილი თაობები მეობის, ერისშვილობის შენარჩუნებას?! შეძლებენ კი ამ უცხო ქვეყანაში დაბადებულ-აღმოცენებულნი მშობლიურის შემეცნებას?!

შეიგრძნობენ კი ქართული კულტურული მემკვიდრეობის ზენაარობას?!

... ვფიქრობდი, ვფიქრობდი და 2020 წელს დავაარსე "ლონდონის საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენცია", რომელიც ამ მიზნებს ემსახურება და მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოს წარმომადგენლები, საზღვარგარეთ დაბადებულ-აღზრდილი ქართველი ახალგაზრდები გუგუნებენ და საოცარი სწრაფვით ეძალებიან ეროვნულ კულტურული მემკვიდრეობის სწავლას.

მათი შემხედვარე საქართველოს მომავალიც უფრო ნათელი სჩანს. დღევანდელმა "კოლხეთის" ნომერმა კი უფრო დიდი და ფასდაუდებელი სიხარულის მიზეზი მომცა.

მინდა გავაგონო მსოფლიოს (აუცილებლად წაუკითხავ ჩვენი კონფერენციის დელეგატებს თანატოლთა ნაწერს სექტემბერში), როგორი მიზანდასახული, პრაქტიკულად მოაზროვნე, გაბედული, შემართული, მიზანსწრაფული თაობა მოდის.

მოდის თაობა, რომელიც შეძლებს "გადაგვარებულ-გადაჯიშებულ" ადამიანებს მიუთითონ და შეაჩერონ, არა ძალით და იარაღით, არამედ გონებითა და საქმით.

ეს ის თაობაა, რომელიც არ იტყვის, "გააჩერე, დედამიწა ჩავდივარ!" არამედ პირიქით, თავად მოვა არა მარტო საქართველოს, არამედ დედამიწის სამართავად.

ქედს ვიხრი თქვენს წინაშე ახალგაზრდებო! თქვენი მრავალჟამიერი! ამინ!

მე მწამს თქვენი! თქვენი დრო მოვიდა! თქვენ მზად ხართ!

წინ სამართლიანობის, გამჭრიახობის, ცოდნის, ღირსების, თავისუფლების აღდგენისკენ!

ებარებოდეთ უფალს.

უფალო უწინამძღვრე და ატარე შენი სიმართლით ჩვენი შვილები, გთხოვ. ამინ!

თქვენით ამაყი, თქვენი
ლიანა ჯიქია-გოგრიჭიანი

ქალბატონო ლიანა!

გაზეთისა და მკითხველის ერთმანეთთან უხილავი ძაფებით ბმის ხაზი რედაქციისა და მკითხველის ვალდებულებასა და დანიშნულებაზე გადის, რაც ერთი მხრივ საზოგადოებრივი აზრის, ინტერესების, გულისთქმის გამოხატვას, ხოლო მეორე მხრივ მკითხველის მიერ თავისი შეხედულებების(გნებავთ კრიტიკულის) პოზიცირებას ნიშნავს. ეს არის ურთიერთშეუთანხმებელი, ბუნებრივი თანამშრომლობა, რედაქციისათვის კი მასაზრდოებელი, მასტიმულირებელი, მაცოცხლებელი .... ძალა.

ქალბატონო ლიანა, ამ გაყინულ-გაქვავებულ სამყაროში, როცა საკუთარ ჭირ-ვარამის ნაჭუჭში არიან ადამიანები შეყუჟულნი, თქვენი სიტყვები უდაბნოში მოსულ შხაპუნა წვიმას ჰგავს. დიდ ბრიტანეთში მოღვაწე, უმნიშვნელოვანეს საქმეებით დაკავებულ ქალბატონის მიერ ბევრთათვის მივიწყების ფერფლდადებულ ,,კოლხეთის" ესეთ კონტექსტში გააზრება სულის სალბუნია ჩვენთვის, პროფესიული ნიშნით კი ყველაზე აუცილებელი კომპონენტი, რომ არ მოვდუნდეთ. როცა ,,არსაიდან ხმა, არსით ძახილი", ხომ შეიძლება ჩაგვთვლიმოს.

,,არ ჩაგეძინოს, არ ჩაგთვლიმოს, შეიბ მახვილი, ოღონდ ფუნჯი და კალამია შენი მახვილი". ცხადია, მაგრამ?!

მიგვაჩნია, რა თემაზეც არ უნდა წერდეს გაზეთი, მას თუ თანამოაზრედ არ ჰყავს მკითხველი, მისი საქმიანობა მხოლოდ საქმიანობად დარჩება. აქედან გამომდინარე ქალბატონო ლიანა, მადლობა თქვენ ,,კოლხეთისადმი" გამოხატული სიყვარულისათვის, უპირველესად კი თანამოაზრეობისათვის. მადლობა თქვენი საქმიანობისათვის, ამდენს რომ იტევთ ერთი.

გვეიმედებით და გვეამაყებით!

,,კოლხეთელები"

„ვინ არის, სიდან მოსულა, სად არის, წავა სადაო"

ახალგაზრდობა ყოველთვის იყო, არის და იქნება ჯანმრთელი სულის, გონების მატარებელი, ქვეყნის დასაყრდენი, საზოგადოების იმედი, სამშობლოს ბედ-იღბლის განმსაზღვრელი, დიდი შესაძლებლობების, მუხტისა და ენერგიის ძალა. ოღონდ განსწავლულნი, პრაქტიკული უნარ-ჩვევებით, გამოცდილება მიღებულნი, დაღვინებულნი, დადინჯებულნი, პრაგმატულად მოაზროვნენი.

ჩვენ კი ვთვლით ასე, მაგრამ საინტერესოა თავად რას, როგორ იაზრებენ, სჯობს მოვუსმინოთ მათ. ნომრის სტუმრები არიან მიმდინარე წლის მუნიციპალიტეტის სკოლათა კურსდამთავრებულები.

კითხვა: ყველაზე სუფთა, უმანკო სულის, სინდისის, შეურყვნელი, ალალი გულის ადამიანები ხართ თქვენი ასაკისა და პიროვნული მე-დან გამომდინარე, მაგრამ ცხოვრება ,,ჭრელია", აღმაც ხნავს და დაღმაც ჰფარცხავს" წუთისოფლის დაუწერელ კანონებს თქვენ რითი გაუმკლავდებით? რითი ხართ ,,შეიარაღებული" თავი რომ არ გააქელვინოთ? რაში მდგომარეობს თქვენი ძლიერება?..

მარიამ ბაღათურია - ჩემს სიძლიერეს წარმოადგენს განათლება, რომელიც მინდა, რომ ჩემი ქვეყნის სასიკეთოდ გამოვიყენო და

მომავალ თაობას გადავცე ამით მაგალითი. ჩემი თაობა, რომელიც სულ ახლახან დაემშვიდობა სასწავლო მერხებს უმაღლესი სასწავლებლების აუდიტორიებში გადაინაცვლებს და თვალსაწიერს გაიფართოებს. ცოდნით შეიარაღებული უფრო ადვილად შეეჭიდება სიძნელეებს. ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ ,,ცხოვრება წინ მიდის, მოაქვს განახლება, ცოდნა, ცვლილებები წესისა, ჩვეულობისა, აზრისა, გრძნობისა..."

გიგი ყურაშვილი - დიახ, ამიტომ წუთისოფელი ნამდვილად არაერთგვაროვანი და არაპროგნოზირებადია....თითქმის არასდროს იცი რას გიმზადებს, თუმცა, როგორც



თქვენ ახსენეთ, ამ უმანკო სულისა და სინდისის, შეურყვნელი და ალალი გულის შენარჩუნება ყველაზე დიდი გამოწვევაა, რის წინაშეც ახალგაზრდები ვდგავართ, რადგან წუთისოფლის სიავეებთან გამკლავება მხოლოდ ამ თვისებებსა და პრინციპებზე დაშენებული ხასიათის ქონითაა შესაძლებელი... ალბათ, ზედმეტი კადნიერება არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ახალგაზრდა თაობა ყველაზე თავისუფალია როგორც ურთიერთობებში, ისე ყოველდღიურობაში,... ის გათავისუფლებულია ზედმეტი მარწუხებისა და ექსტერნალური ხელისშემშლელი ფაქტორებისაგან, რაც, დამეთანხმებით, უდიდესი უპირატესობაა სხვა თაობებთან შედარებით....ჩვენი ძლიერებაცა და სუპერძალაც, ალბათ, ჩვენი თავისუფლების დონეს, გახსნილობასა და აზროვნების არაშაბლონურობაში მდგომარეობს.

შაკა ხვიჩია – წუთისოფელი ქვას ჰგავს, აგორებულ ქვასავით მძიმეა, მიუყვება გზას, მაგრამ არ იცის რა ელის, უფსკრული თუ კარგ ადგილას შეჩერება. ასეა ადამიანის შემთხვევაშიც. ცხოვრებაში მრავალი სირთულის მიუხედავად, ხელის ჩაქნევა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. წინააღმდეგობების დაძლევის ერთერთი გასაღები ცოდნაა, თუ ერმა იცის ჩვენი დიდი ისტორია, მათ არ გაუჭირდებათ გადალახონ დაბრკოლებები, რადგან ჩვენს წინაპრებსაც ხვდებოდა ცხოვრებაში სირთულეები და ღირსეულადაც უმკლავდებოდნენ.

რა თქმა უნდა დღესაც არის ისეთი პრობლემები როგორიც წარსულში იყო. ჩემი და უფროსი თაობა უნდა დააკვირდეს თუ როგორი გზებით ჭრიდნენ ამ პრობლემებს ჩვენი წინაპრები და მათი გამოცდილებაც უნდა გავითვალისწინოთ.

ადამიანი აროდეს უნდა დანებდეს, ჩემი მახასიათებელი თვისე-

ბაა მიზანდასახულობა და სიმტკიცე, თუ მიზანს ვერ ვაღწევ არ ვნებდები, თავიდან ვცდი ხოლმე. ცდა ხომ ბედის მონახევრეა.

გვანცა კუპრეიშვილი - წუთისოფლის ცვალებადობასა თუ მუხანათობაზე მრავალი მწერალი, პოეტი, ფილოსოფოსი, ინტელექტუალური ადამიანი გვესაუბრება. როგორც გურამიშვილი იტყოდა: „ხან ნოტიობს, ხან კი გვალავს". იგი არასდროს გვევლინება ერთი სახით, მუდმივად ამოუცნობია ან ამოუხსნელი, თუმცა, ვფიქრობ, რომ თუკი გვსურს შევიმეცნოთ ჩვენს მიღმა არსებული სამყარო, უპირველესად საკუთარ თავს უნდა ვიცნობდეთ. ჩემი აზრით, ჩვენს შესაძლებლობებში, სურვილებსა თუ მისწრაფებებში უკეთ გარკვევა იქნება არსებული პრობლემების გადაჭრის წინაპირობა, გარდა ამისა, ადამიანს უნდა ჰქონდეს რწმენა ტრანსცედენტური სამყაროსი, ანუ ღვთის, იმ "არსების", რომელიც დგას ყოველივე არსებულზე

მაღლა და თავადვე განაგებს ყველაფერს. მსგავსი სახის მტკიცე რწმენა ინდივიდს დაეხმარება ძალების მოკრებაში, ფეხზე მყარად დადგომასა და წუთისოფლის ქარტეხილებთან გამკლავებაში.

გიორგი გეგენავა

ჩვენ ცხოვრების ახალ ეტაპზე სწორედ ახლა გადავდივართ, ეს

არის ეტაპი, რომელმაც დამოუკიდებლად ცხოვრება უნდა გვასწავლოს იმისდა მიუხედავად, რომ ცნება დამოუკიდებლლობის თეორიული აზრი კარგად გვესმის, მისი პრაქტიკული მნიშვნელობა და ის, თუ როგორ მოვიპოვოთ რეალურ სამყაროში, ჩვენთვის დღეს აც გაუგებარია. ამას მხოლოდ გამოცდილების შეძენითა და მრავალი ქარტეხილის გადალახვით შევძლებთ. ჭეშმარიტი პრობლემის წარმოშობა და მისი გადაჭრის ხერხების ძიება არის ის, რაც ადამიანის ცნობიერებას ამაღლებს და მისი აზრებისა და ფიქრების ევოლუციას უწყობს ხელს, ასეთი რეალური პრობლემა ჩვენი თაობის წარმომადგენელთა უმრავლესობას ჯერ არ შეგვხვედრია, შესაბამისად არარელევანტურია ვისაუბროთ იმაზე, თუ როგორ გადავლახავთ წუთისუფლის განსაცდელებსა თუ გამოცდებს ჩვენი მწირი გამოცდილებით. ერთადერთი იარაღი, რომელიც ჩვენს თაობას შეიძლება გააჩნდეს წუთისოფლის დაუწერელ კანონებთან საბრძოლველად არის ფორმალური და არაფორმალური განათლება, რომელშიც მრავალფეროვანი პალიტრით არის გადმოცემული უამრავი ადამიანის ,გამოგინილი თუ ნამდვილი ცხოვრებისეული ისტორია, რომლის სწორად გააზრების შემთხვევაში ჩვენ გვემატება გამოცდილება, რაც უპირველესია დღევანდელ ცვალებად სამყაროში ადაპტირებისთვის.

ალექსი ნინუა - გეთანხმებით, რომ მართლაც ასეა, მაგრამ მე მგონია და ასე მწამს, რომ ადამი-

ანს თუ კეთილი გული, პატიოსანი სული აქვს და არის სამართლიანი ყველანაირ წინააღმდეგობას გაუმ-

(დასასრული მე-7 გვ)

,,ვინ არის, სიდან მოსულა, სად არის, წავა სადაო"

კლავდება. იყავი მართალი ადამიანი და ვერაფერი მოგერევა, ეს ჩემი ცხოვრების დევიზია!

გიგი აბრამიძე -ჩემი აზრით წუთისოფლის დაუწერელ კანონებს გავუმკლავდებოდი სწორად ორიენტირებული გონებით, ჯანსაღი ცხოვრებისეული დამოკიდებულებით, საკუთარი თავის რწმენით და პიროვნული ღირებულებებით.

კითხვა: თქვენ მომავლის ადამიანები ხართ, რამდენადაც ხვალ, ზეგ, მასზეგ მამებს უნდა ჩაენაცვლოთ ოჯახის გაძღოლაში, ქვეყნის შენებასა და საჭეთმპყრობელობაში, მამულიშვილობაში.

თუ გიფიქრიათ ამაზე, თუ არა, ახლა სცადეთ. როგორი მოქალაქეები იქნებით? ანუ სად და როგორ ხედავთ თქვენს თავს?

მარიამ ბაღათურია - ვიმედოვნებ, რომ ვიქნები სასახელო მოქალაქე და შევძლებ ცოტაოდენი წვლილი მაინც შევიტანო ჩემი ქვეყნის განვითარებაში.

გიგი ყურაშვილი - ცხადია, მიფიქრია....მე თუ მკითხავთ, ყველა ადამიანი უნდა ფიქრობდეს, რას შემატებს ქვეყანას, როგორც "მგზავრის წერილებში" ვკითხულობთ: "როგორ შევეყრები მე ჩემს ქვეყანას და როგორ შემეყრება იგი მე. რას ვეტყვი მე ჩემს ქვეყანას ახალს და რას მეტყვის იგი მე? -ასე ფიქრობდა დიადი ქართველი ილია ჭავჭავაძე და ჩვენც უფლება არ გვაქვს, არ მივყვეთ მის გზას...

ძალიან რთულია ასეთ შორეულ პერსპექტივაზე რეალურად საუბარი, თუმცა ერთი რამ ცხადია: ჩვენ, ახალი თაობა, საქმის პროფესიონალები და სამშობლოსათვის გულანთებული ადამიანები ვიქნებით, რადგან ჩვენ სწორედ ის ლეკვები ვართ, ალგეთს რომ უნდა დაზრდილიყვნენ და რომელთა გამოჩენასაც ამდენხანს ელოდა დედასამშობლო..., დამეთანხმებით, ჩვენი გასაკეთებელიც ბევრია და იმედია, პირნათლად გავუყვებით წინაპართა ნაკვალევს.

შაკა ხვიჩია -სიმართლე გითხრათ ხშირად მიფიქრია იმაზე, თუ როგორი მშობელი ვიქნებოდი და როგორ ღირსეულად გავუძღვებოდი ოჯახს.

ამავდროულად პირველ რიგში მინდა ვიყო პიროვნება,მიუხედავად ჩემი პროფესიისა და განათლებისა, ვიყო ჩემი ქვეყნის ღირსეული მოქალაქე, არ შევარცხვინო ჩემი ოჯახი. ჩემი რაიონი, ჩემი ქვეყანა.

გვანცა კუპრეიშვილი - მოვიხმობ გურამიშვილის სიტყვებს: "ყმაწვილი უნდა სწავლობდეს საცნობად თავისადაო, ვინ არის, სიდან მოსულა, სად არის, წავა სადაო."

თითოეული ახალგაზრდის მოვალეობაა დაფიქრდეს თავის მდგომარეობაზე და ეცადოს განჭვრიტოს მერმისი, ეძებოს საკუთარი ხვედრი, კუთვნილი ადგილი, რათა არ დაემსგავსოს უსიერ ტყეში გზადაკარგულ იტალიელ პოეტს.

ჩემი თავი მომავალში წარმომიდგენია საგანმანათლებლო სივრცეში, იმ ახალგაზრდების გვერდით, რომლებიც ცდილობენ ცოდნის გაღრმავებას, ცნობიერების ამაღლებასა და ახალი ინფორმაციის ათვისებას. ვფიქრობ, სწავლა დაუსრულებელი, ამოუწურავი პროცესია, შესაბამისად, ყოველთვის გვაქვს შესაძლებლობა იმისა, რომ მეტად განვვითარდეთ და გავიზარდოთ სულიერად საინტერესო ადამიანებთან ურთიერთობის პროცესში.

გიორგი გეგენავა - ეს არის საკითხი, რომელზეც თითოეული ჩვენგანი უნდა ფიქრობდეს. ქვეყნის მომავალი სწორედ იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად სწრაფად გავიაზრებთ საკუთარ დანიშნულებასა და მისიას სამყაროში. ერი ,ეს ერთი მთლიანი ორგანიზმია, რომლის სტრუქტურულ ერთეულსაც ჩვენ წარმოვადგენთ, მოქალაქეები. იმისათვის, რომ ორგანიზმი ჯანმრთელი იყოს, მნიშვნელოვანია მისი თითეული უჯრედი გამართულად მუშაობდეს და ფუნქციონირებდეს. იგივენაირად არის ერის შემთხვევაშიც, რომელშიც ყოველი მოქალაქე ქვეყნის განვითარებისა და წინსვლისთვის უნდა იღწვოდეს, ეს კი როგორც საკუთარი მოქალაქეობრივი ვალდებულების შესრულებას, ასევე სხვა არაერონული სულისკვეთების მატარებელი საზოგადოებისა თუ მოქალაქის გაჯანსაღებისკენ სწრაფვას გულისხმობს. სწორედ ასეთ მოქალაქედ წარმომიდგენია საკუთარი თავი, ეს კი პირველ რიგში ,XXI საუკუნის სტანდარტებით, გარკვეული განხრით საკუთარი თავის პროფესიონალად ჩამოყალიბებით მიიღწევა.

ალექსი ნინუა - სამყარო ძალიან სწრაფად პროგრესირებადი გახდა. საკმაოდ რთული გამოწვევების წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს თანამედროვე ახალგაზრდა. Aამისათვის უნდა იყო შეიარაღებული ცოდნით, რათა შეძლო გაუმკლავდე ყოველივეს. Aამავდროულად უნდა იყო მებრძოლი და არ შეუშინდე წინააღმდეგობებს (დაუძლეველი არაფერია თუ მოინდომებს ადამიანი) როგორც მოქალაქე ვიქნები ჩემი ქვეყნის პატრიოტი, სადაც არ უნდა ვიყო და რა საქმესაც არ უნდა ვაკეთებდე, მომავალში მინდა ვიყო იმ საქმის კარგი სპეციალისტი და გამოავადგე ჩემს ოჯახს და ქვეყანას! Mავირჩიე საერთაშორისო ურთიერთობები და სხვა მონათესავე პროფესიებიც. ვფიქრობ, ეს უკვე ნიშნავს იმას, რომ მეტად აქტუალურ და საჭირო სფეროში ვხედავ ჩემს მომავალს!

გიგი აბრამიძე - მოქალაქე ვიქნები, რომელსაც უყვარს თავისი სამშობლო, თავისი ქვეყანა რა თქმა უნდა თავისი ოჯახი და შევეცდები მაქსიმუმი გავაკეთო, რათა მივაღწიო დასახულ მიზანს და იდეაში წარმოდგენილი საკუთარი თავი ვიპოვო ცხოვრების დიდ ასპარეზზე.

კითხვა: დაასახელეთ ჩვენი წარსულიდან ერთი პიროვნება, რომელის მიმართ ყველაზე მეტი პატივისცემა გაქვთ, დამისაბუთეთ რატომ.

მარიამ ბაღათურია - ჩემთვის მისაბაძი პიროვნებაა ეროვნული გმირი ჟიული შარტავა,სწორედ,რომ მისი სახელობის სკოლა დავამთავრე და ვამაყობ, რომ საქართველოს მისი სახით ჰყავს გმირი,რომელიც იბრძოდა ქვეყნის კეთილდღეობისთვის.

გიგი ყურაშვილი - ეს პიროვნება, როგორც უკვე მიხვდით, ილია ჭავჭავაძეა....მან სამშობლოს თავისუფლება ანაცვალა დალხენილ ცხოვრებას, ის ნამდვილი ,,საექსპონატო" და საკულტო ქართველია....მისი ყოფაცა და გარდაცვალებაც სამშობლოს კეთილდღეობას უკავშირდებოდა. წიწამურთან რომ ვერ მოკლეს ილია, მაშინაც სამშობლოზე ფიქრობდა, გული რომ გაჩერდა, მაშინაც სამშობლოსათვის ფეთქავდა და, ალბათ, ახლაც იმავე გზნებით აგრძელებს ფეთქვას და როგორ შეიძლება, ასეთი ადმიანისადმი სიმპათიით არ განეწყო. მისი ღვაწლისა და ქვეყნის განვითარებაში ჩადებული აუწონელი ძალისხმევის შედეგად ის საერო ცხოვრებიდან წმინდანობამდე ამაღლდა,...ამიტომაც გამოვარჩევ ილია ჭავჭავაძეს. დაე, ახალგაზრდებსაც მისი გზით გვევლოს!

შაკა ხვიჩია -ბევრი პიროვნებაა წარსულიდან, რომლებიც პატივისცემას იმსახურებენ, მე გამოვარჩევდი აფხაზეთის ომის გმირს, ჩვენს თანაქალაქელ ჟიული შარტავას. მისი შეუდრეკელობა, სიმამაცე, სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული ჩემში უდიდეს პატვისცემას იწვევს.

,,წაუსვლელობა არ შეიძლება, სჯობს ამ ომს შევეწიროთ და მომავალი თაობა გადავარჩინოთ. ჩვენი თაობა ისედაც ვალშია მათ წინაშე... ბოლომდე ვიბრძოლებთ, ვიდრე შეგვიძლია და თუ სიკვდილი გვიწერია, არც ეს უნდა იყოს დიდი ტრაგედია, რას იზამ ბედიწერას ვერ გაექცევი"- ეს სიტყვები ჟიულის ეკუთვნის. და თუ საქართველოს თუნდაც ერთი ასეთი ადამიანი ეყოლება, გადაშენება არ უწერია.

გვანცა კუპრეიშვილი - გამორჩეული პატივისცემა მაქვს ქართველი გმირის, გენო გაბისკირიას მიმართ, რომელმაც მტრის ბრძანებაზე "დაუჩოქე" უპასუხა შემდეგნაირად: "არასდროს სიცოცხლეში!"

მიმაჩნია, რომ იგი არის ვაჟკაცობის, პრონციპულობის, სიმამაცის, სიძლიერის, სიმხნევის სიმბოლო და თითოეულ ქართველს გვასწავლის, თუ როგორ უნდა გვიყვარდეს სამშობლო და როგორ უნდა ვუერთგულოთ მას!

გიორგი გეგენავა - ადამიანი,- რომლის მიმართაც უდუდესი პატივისცემა გამაჩნია გურამ დოჩანაშვილია. ჩემთვის ის ერთ-ერთი საუკეთესო მწერალია. მხატვრული ლიტერატურის ყველაზე დიდი პლიუსი ის არის, რომ მას ადამიანის გაკეთილშობილება, მისი ადამიანური ბუნების გაღვიძება და აზროვნების განახლება შეუძლია. გურამ დოჩანაშვილის მოთხრობები, ნოველები და რომანები ამის ნათელი მაგალითია და ყველა ადამიანს ვურჩევდი მათ სიღრმისეულად გაცნობასა და გააზრებას.

ალექსი ნინუა - ბევრი შეიძლება დასახელდეს ასეთი პიროვნება, მე გამოვყოფდი დავით აღმაშენებელს და ზვიად გამსახურდიას. დავითი როგორც ქვეყნის აღმაშენებელი და ზვიადი როგორც დიდი პატრიოტი და ჭეშმარიტი ქართველი. Bბევრი შეიძლება ამ ადამიანებზე ვისაუბრო, მაგრამ ვეცადე ლაკონურად მეპასუხა თქვენს კითხვაზე.

გიგი აბრამიძე - ჩვენი წარსულიდან მეტი პატივისცემა გამაჩნია ექვთიმე თაყაიშვილის მიმართ. მან ეროვნული ინტერესები პირად სარგებელზე წინ დააყენა და მიუხედავად უკიდურესი სიდუხჭირისა, არ გაასხვისა ქართველთა განძი. ჭეშმარიტად საზოგადო მოღვაწე განსაკუთრებულ აღიარებას იმსახურებს არა მხოლოდ ეროვნულ, არამედ ჰუმანურ ასპექტშიც.

მეგობრებო, თქვენია დღევანდელობა და ხვალინდელი დღეც. ამიტომ იფრინეთ, იოცნებეთ, იმოგზაურეთ, სხვათა ტრადიციებს, კულტურას, მიღწევებს გაეცანით, ცოდნა აიმაღლეთ მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში, ოღონდ საკუთარს გაუფრთხილდით, სამშობლოში დაბრუნდით, თქვენი ცოდნა-გამოცდილება ქვეყანას მოახმარეთ, ამით თავსაც არგებთ და ქვეყანასაც.

ნინო სართანია

მოკრძალებული ქალბატონი

ხშირად გვესმის ლტოლვილი, იძულებით გადაადგილებული, ადგილნაცვალი პირი, რომელია სწორი ან მართებული ფორმა ეს თქვენ განსაჯეთ, ჩვენ ამ სტატუსის ქვეშ მოქცეული ადამიანები გვაინტერესებს, ისინი ხომ საკუთარ სამშობლოში საკუთარი მიწა-წყლიდან არიან გამოდევნილი. ომმა აიძულა მიეტოვებინათ იქაურობა და დაქსასულიყვნენ. ნათქვამია – ღმერთი თავის გაჩენილს არ გასწირავსო და სწორადაც. მათ დაუღალავი შრომითა და გარჯით თავიდან სცადს ოჯახური გარემოს შექმნა, ზოგი აქ, სამშობლოში დარჩა, ზოგი საზღვრის მიღმა წავიდა. საბოლოო ჯამში ცხოვრება ახალი ფურცლიდან დაიწყეს. დღეს ერთ-ერთ ასეთ-ზაირა ჩაჩიბაიას ოჯახს გაგაცნობთ. ეს ქალბატონი წარმოშობით მარტვილიდანაა, კერძოდ, კიწიიდან. დაიბადა და გაიზარდა მრავალშვილიან ოჯახში. სულ შვიდი და-ძმანი იყვნენ, მათი ყველაზე დიდი სიმდიდრე – ერთმანეთის უკიდეგანო სიყვარული იყო. ასე დაიზარდნენ და შემდეგ თითოეულმა საკუთარი ოჯახები შექმნა. ზაირაც შეხვდა თავის გულისწორს-ნოდარ ხუბუტიას, რომელიც სოხუმში მაკარაძის ქუჩაზე ცხოვრობდა და შეუღლდნენ.

-ჩვენ დროს თუ ხელს გაანძრევდი, ყველაფერი შეგეძლო შეგექმნა, გაჭირვება არ ვიცოდით რა იყო, ვმუშაობდით და მატერიალურად უზრუნველყოფილი ვიყავით. ოჯახი ჩვენი გემოვნებით მოვაწყვეთ, შვილებიც დავზარდეთ და ვფიქრობდით უზრუნველი სიბერე გვექნებოდა, მაგრამ ამ საშინელმა ომმა ჩვენი ცხოვრება შეცვალა... გვიყვება ქალბატონი ზაირა.

ომს გამორიდებულებმა სენაკს შეაფარეს თავი. ახლობელებიც აქ ეგულებოდათ და დარჩენაც აქ ირჩიეს. ფიქრობდნენ დღეს თუ არა ხვალ დავბრუნდებით აფხაზეთში, მაგრამ... მოლოდინი მოლოდინად დარჩა, წლებს წლები წაემატა, დარდმა და ნაღველმა თავისი ქნა, ოჯახის უფროსი ნოდარი გარდაიცვალა და მისი ძვალთშესალაგი სენაკი გახდა. დაოჯახებული შვილების შვილებმაც შექმენეს საკუთარი ოჯახები. უფროსი ვაჟი დათო თავისი ცოლ-შვილით გერმანიაშია, უმცროსი ბონდო დედასთანაა, ქალბატონი ზაირა თავის რძლებს, ინდირა შენგელიასა და სვეტლანა არბუზოვას დიდად ემადლიერება. შესანიშნავი მეოჯახეები არიანო- ამბობს. ჰყავს სამი შვილიშვილი და სამი შვილთაშვილი.

14 ივლისს ქალბატონ ზაირას 80 ნე;ლი შეუსრულდა. ვიზუალურად უფრო ახალგაზრდულად გამოიყურება. არის გაწონასწორებული, სტუმართმოყვარე, კეთილი სულის და გულის ადამიანი. უყვარს თავისი უმცროსი დის სტუმრობა, როცა მოენატრება თითონაც მიუკაკუნებს კარებზე, იხსენებენ აქეთურსა და იქეთურს, სასაუბროს რა გამოულევთ მათ.

ვულოცავთ ქალბატონ ზაირას დაბადების დღეს, ვუსურვებთ ჟამს გრძელს, ჯანმრთელობას, ოჯახისშვილთა დღეგრძელობას, აფხაზეთში დაბრუნებას და საკუთარი ოჯახის ისევ აღდგენას. ხანგრძლივ სიცოცხლეს თავის შთამომავლებთან ერთად.

ნ. ოდიშელი

შალვა ნაჭყებია

გარდაიცვალა კიდევ ერთი ღირსეული, მრავალმხრივ განათლებული, ზნეკეთილი მამულიშვილი, რომელიც დაუღალავად იღწვოდა მშობლიური ქვეყნის, ხალხის საკეთლდღეოდ.

შალვა ნაჭყებია დაიბადა 1945 წელს ცხაკაიაში. 1963 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა პირველი საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ენერგეტიკის ფაკულტეტზე ელექტრული სადგურების სპეციალობით. 1969 წელს ინსტიტუტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ კათედრაზე დარჩა ასისტენტად და სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს. 1975-89 წლებში ეკავა ზოგადი და თეორიული ელექტროტექნიკის კათედრის ასისტენტის, უფროსი მასწავლებლის და დოცენტის თანამდებობები.

1979-83 წლებში არის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გაერთიანებული პროფკავშირის თავმჯდომარე, 1983-88 წლებში პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილე.

1988 წელს დაიცვა დისერტაცია ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად და მიენიჭა პროფესორის წოდება.

ბატონი შალვა 2003 წელს ელექტრული სადგურების ქსელებისა და სისტემების კათედრის გამგედ აირჩიეს, 2007 წლიდან ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციების ფაკულტეტის ენერგეტიკისა და ელექტრომექანიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი გახდა.

იგი სისტემატურად მონაწილეობდა საერთაშორისო პროექტებში უმაღლესი განათლების რეფორმების განხორციელებისა და სასწავლო პროცესებში დანერგვის მიზნით.

სასწავლო-პედაგოგიურ საქმიანობასთან ერთად პროფესორი შალვა ნაჭყებია ეწეოდა ნაყოფიერ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას. იგი 60-ზე მეტი ნაშრომის ავტორია, მათ შორისაა 4 სახელმძღვანელო, 8 გამოგონება და პატენტი. 2007 წელს თანაავტორებთან ერთად გამოსცა სახელმძღვანელო „ელექტროსადგურებისა და ქვესადგურების ელექტრული ნაწილი", 2008 წელს „ელექტრული წრედების თეორია". 2017 წელს ,,ელექტრული ენერგიის გენერაციის თანამედროვე წყაროები". მონაწილეობდა ნიდერლანდებში, აშშ-ში, გერმანიაში, უკრაინაში გამართულ საერთაშორისო სიმპოზიუმებზე.

ბატონი შალვა არჩეული იყო საქართველოს საინჟინრო აკადემიის ნამდვილ წევრად და ენერგეტიკის განყოფილების აკადემიის მდივნად.

იგი დაჯილდოებულია ღირსების მედლით და ღირსების ორდენით, იყო სენაკის საპატიო მოქალაქე.

შალვა ნაჭყებიას ბიოგრაფია შესულია ენერგეტიკოსთა საერთაშორისო ენციკლოპედიაში, რომელიც 2005 წელს გამოიცა მოსკოვში. აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს ენერგეტიკის ენციკლოპედიის გამოცემაშიც, როგორც სარედაქციო კოლეგიის წევრი.

ბატონი შალვა გახლდათ მეცნიერების ისტორიის საქართველოს საზოგადოების პრეზიდიუმის წევრი. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი შრომები საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ისტორიის, საინჟინრო დარგის გამოჩენილ- პედაგოგთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, რისთვისაც დაჯილდოებული იყო საპატიო მედლით. იგი სტუ-ს აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით დამტკიცებული იყო უნივერსიტეტის მემატიანეთა ჯგუფის თავმჯდომარედ.

ჭეშმარიტი პატრიოტი შალვა ნაჭყებია ყოველთვის ზრუნავდა მშობლიური რაიონის ახალგაზრდობის მომავალზე. აქტიურად მონაწილეობდა სენაკის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის ტაძრის მშენებლობასა და მის გუმბათზე ჯვრის აღმართვაში. დიდი წვლილი მიუძღვის ტექნიკური უნივერსიტეტის სულიერების დიდი კერის თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის დაარსებაში, რისთვისაც სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ს საპატიო სიგელით და მართლმადიდებლობის 200 წლისთავისადმი მიძღვნილი ვერცხლის ჯვრით იყო დაჯილდოებული.

ბატონი შალვა ღირსეული ქართული ოჯახის თავკაცი გახლდათ. მას ყოველთვის მხარს უჭერდა მისი შესანიშნავი მეუღლე ქალბატონი მარინა ჭანტურია და შვილები გიორგი და დავით ნაჭყებიები, რომლებიც ღირსეულად გააგრძელებენ ნაჭყებიების ოჯახის დიდ ტრადიციებს.

ბატონი შალვა ნაჭყებიას ნათელი ხსოვნა მუდამ დარჩება მისი მშობლიური სენაკის ისტორიაში და ყოველთვის მოიხსენიება, როგორც ჭეშმარიტი მამულიშვილი და მშობლიური ქალაქის ღირსეული შვილი.

ა. ცაგურია, ტ. დგებუაძე, დ. კუჭავა, პ. ქურდოვანიძე, რ. ადამია, ბ. დავითაია, ვ. დანელია, მ.აბრამია, მ.გიგიბერია, ნ.ხოფერია, დ. ჯორჯიკია, მ. გვასალია, დ. სართანია, მ. შონია, გ. მალანია

გენადი ჯანჯღავა

ძველი სენაკის საზოგადოებას გამოაკლდა ღირსეული ადამიანი გენადი ჯანჯღავა. მის სახელს სოფელში უდიდესი სითბო ჰქონდა. თავის ცხოვრების მანძილზე სულ ჩართული იყო საზოგადოებრივ პასუხსაგებ საქმიანობაში. იყო პასუხისმგებლიანი, სამართლიანი, მომთხოვნი საკუთარი თავისა და სხვების მიმართ. 18 წელზე მეტი იმუშავა ძველი სენაკის საკრებულოს თავმჯდომარედ, რომელიც სამ სოფელს ძველ სენაკს, კოტიანეთს და II ნოსირის უბანს აერთიანებდა. იცოდა ყველა ოჯახის გასაჭირი, ეხმარებოდა ავადმყოფებს, ობლებს, შრომისუუნაროებს, ხშირად იტყოდა მასთან გასაჭირში მყოფი რომ მივიდოდა, ზოგჯერ დაუწერელი კანონი დაწერილ კანონზე მეტიაო. ანგარების და პირადი განდიდების მიზნით არაფერს აკეთებდა. იყო მართალი, კეთილი და ხალასი ადამიანი. გააჩნდა დიდი ადამიანური ღისება.

სხვადასხვა დროს მუშაობდა: ახალსოფლის მეურნეობის დირექტორად, სენაკის ავტოსკოლის სასწავლო ნაწილის გამგედ, სენაკის სოფლის მეურნეობის დირექტორის მოადგილედ, იყო ძველი სენაკის სკოლის პედაგოგი, ასწავლიდა მანქანათმცოდნეობას, ძველი სენაკის მეურნეობის ინჟინერ-მექანიზატორი. იყო წიგნიერი და უაღრესად განათლებული. მისი სულიერი საზრდო იყო წიგნები და პერიოდული გამოცემები, ყოველდღე იმაღლებდა გონებრივ დონეს. ასევე წიგნის სიყვარულით აღზარდა მან თავის სამივე შვილი.

თავის მუშაობის პერიოდში უდიდეს ყურადღებას აქცევდა და მხარში ედგა სოფლის კულტურის დაწესებულებებს, ბიბლიოთეკებს. ესწრებოდა ყველა ღონისძიებას. ხშირი სტუმარი იყო სენაკის საჯარო ბიბლიოთეკის. იცოდა განათლების ფასი.

ვინმე თუ დააპირებდა ბიბლიოთეკის ფართის გამოყენებას სხვადასხვა კომერციული დანიშნულებისათვის, მზად იყო დაპირისპირებოდა მა ფიზიკურადაც კი.

სადაც ფეხი დაუდგამს სიკეთის კვალი დაუტოვებია, ასე დარჩება სენაკის საზოგადოების, ნაცნობების და მეგობრების გულში ძველი სენაკის კოლორიტი გენადი ჯანჯღავას ხსოვნა.

ყველასათვის ძმაო და მეგობარო, ჩვენო გენადი ღვთიურ საუფლოში დაებედოს შენს დიდ ადამიანურ ღირებულებების მქონე სულს. ტკივილით და ცრემლით გაგაცილებთ უკანასკნელ გზაზე.

იძინე მშვიდად კეთილშობილო ადამიანო. მსუბუქი იყოს შენს გულზე დაყრილი მშობლიური ძველი სენაკის მიწა,

ნელი ჯანჯღავა

მინდა მწუხარება გამოვხატო სენაკის საპატიო მოქალაქის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორის, საქართველოს და საერთაშორისო საინჟინრო, საქართველოს ენერგეტიკული აკადემიების აკადემიკოსის, ორგზის ღირსების ორდენის კავალერის, სენაკის ღირსეული შვილის, ბატონ შალვა ნაჭყებიას გარდაცვალების გამო.

ვუსამძიმრებ ამ დიდ დანაკლისს, საზოგადოებას, ოჯახსა და მეგობრებს.

სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ გადელია

ანზორ ცაგურია ოჯახით იუწყება მრავალი ჯილდოსა და სამეცნიერო ხარისხის მფლობელის, სენაკის საპატიო მოქალაქის

შალვა ნაჭყებიას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვეენებულის ოჯახს.

ნელი ჯანჯღავა თანაგრძნობას უცხადებს ვარქსენ და ირაკლი ჯანჯღავებს ძმის და ბიძის

გენადი ჯანჯღავას

გარდაცვალების გამო.

ლიტერატურული ჩაინვორდი



1. ლიტერატურის ჟანრი, 2. გ. ფანჯიკიძის რომან ,,თვალი პატიოსანის" პერსონაჟი 3. რუსი პოეტი, 4. სიმღერა ... 5. ,,სამშობლო ხევსურისა" ავტორი, 6. ,,ვისრამინიანის" პერსონაჟი, 7. პაოლო ..., 8. .... ჭავჭავაძე, 9. ფ. კუპერის რომანი, 10. ძველი ბერძენი მწერალი 11. დონ-კიხოტის ცხენი, 12. ... ტაბიძე, 13. ეგნატე ... .14. ... სტურუა, 15. ი. ჭავჭავაძის პოემა, 16. მწერალი პავლე ...., 17. პ.კაკაბაძის პიესა .....თუთაბერი, 18. მიმდინარეობა ლიტერატურაში, 19. მეცნიერება მითების შესახებ, 20. ყვავილი 21. ... ბარათაშვილი, 22. მეცნიერი მიხეილ ..., 23. იაკინთე .... 24. ვაჟა-ფშაველას მოთხრობა 25. ...მირცხულავა, 26....ჭილაძე, 27. ... ვნახე დაჭრილი

შეადგინა მაია გერგაიამ

სარედაქციო კოლეგია
მთავარი რედაქტორი ნინო სართანია
რედაქტორი მედეა ბაღათურია
კორესპონდენტები: მაია გერგაია, მარიკა მიქაბერიძე
ეკონომიკური სამსახურის სპეციალისტი ჟულიეტა ჩაჩიბაია

რედაქციის მისამართი:
სენაკი, ჭავჭავაძის ქ. №103, ტელ: 276150
რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით, არ გამოხატავს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ინტერესებს.
ინდექსი 66529

რეგისტრირებულია სენაკის სასამართლოში
რეგისტრაციის №56/7-17
გაზეთი კომპიუტერზე აიწყო, დაკაბადონდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა შპს „ხოლი ენ"
ქ. ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 33
ტელ: 223779,223711, 223499